

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 145

გამარტივებული შესყიდვა “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს
კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის "დ" პუნქტის საფუძველზე

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2022 წლის 01 აპრილს ქ. თბილისში

ერთის მხრივ, შპს „ემ თი ეი“ (შემდგომში – “შემსყიდველი”), წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი ჭირაქაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ანაგი“ (შემდგომში “მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი გოგოლიშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 2022 წლის 21 მარტის საქართველოს მთავრობის №503 განკარგულების საფუძველზე (SMP220000637, SMP220000636) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**
 - 1.1. “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” (შემდგომში “ხელშეკრულება”) შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
 - 1.2. “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
 - 1.3. “შემსყიდველი” - ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
 - 1.4. “მიმწოდებელი”- ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს სამშენებლო და საპროექტო სამუშაოების შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
 - 1.5. „სამშენებლო სამუშაო/მომსახურება“- ნიშნავს, ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ხელშეკრულების საგანს;
 - 1.6. “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.
2. **ხელშეკრულების საგანი და სამუშაოების შესრულების პირობები**
 - 2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ბორჯომის მუნიციპალიტეტში დაბა ბაკურიანში, დიდველისა და კობტა-მიტარბის სამთო-სათხილამურო კურორტებზე წყლის ხელოვნური რეზერვუარების (დიდველის რეზერვუარის მოცულობა - დაახლოებით 201 433 მ³, კობტა-მიტარბის რეზერვუარის მოცულობა - დაახლოებით 105 948 მ³) მოწყობასთან დაკავშირებული ყველა სახის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა და შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიასა და Studio associate proalpe di ingg.Farina Giordano e Veronesi Ivan-ს შორის გაფორმებული 2020 წლის 27 იანვრის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #53 ხელშეკრულების (CNT190000116) კორექტირებასთან დაკავშირებული სამუშაოების შესყიდვა (საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება გულისხმობს დანართი #3-ის კორექტირებას დიდველის რეზერვუარის ნაწილში).

- 2.2. შესასრულებელი სამუშაოს აღწერა მოცემულია შემსყიდველის მიერ მოწოდებულ საპროექტო დოკუმენტაციაში (დანართი #3), საპროექტო დავალებაში (დანართი #4), ხარჯთაღრიცხვაში (დანართი #1). ორაზროვნების გამოსარიცხად, მხარეები ვთანხმდებით, რომ დანართ #3-ში ან/და დანართი #4-ის საფუძველზე ხელშეკრულების 2.4. პუნქტის შესაბამისად განახლებულ პროექტსა და დანართ #1-ს (მათ შორის პროექტის განახლების შედეგად კორექტირებულ დანართ #1-ს) შორის იარსებებს სხვაობა/შეუსაბამობა შესასრულებელი სამუშაოს აღწერაში, მაშინ იმ სამუშაოების შესასრულებლად, რომლებზეც იარსებებს ასეთი სხვაობა/შეუსაბამობა მხარეები უნდა შეთანხმდნენ დამატებით. მშენებლობის საწყის ეტაპზე, პროექტის კორექტირებამდე, მიმწოდებელმა შემსყიდველთან შეთანხმებით უნდა იხელმძღვანელოს დანართი #3.
- 2.3. 2022 წლის 21 მარტის საქართველოს მთავრობის №503 განკარგულებით, „ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად, მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვები მიიჩნევა „lump sum“ ტიპად და მასზე არ ვრცელდება აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის მოქმედება.
- 2.4. საპროექტო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით (დანართი #3), რომელიც მათ შორის მოიცავს პროექტი „დიდველის“ ნაწილში შეცვლილი გადაწყვეტილების კონცეფციას, მხარეები თანხმდებიან, რომ საპროექტო დავალების (დანართი #4) შესაბამისად, შემსყიდველი ავალეს მიმწოდებელს აღნიშნული კონცეფციის თანახმად დიდველის რეზერვუარის პროექტის ცვლილებას, რაც გულისხმობს დიდველის რეზერვუარის კედლის, მიწაყრილის ნაცვლად, რკინაბეტონის კონსტრუქციით მოწყობას. საპროექტო დოკუმენტაციის აღნიშნული ცვლილების შესაბამისად დაკორექტირდება ხელშეკრულების დანართ #1-ში (ხარჯთაღრიცხვაში) მოცემული შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები, ამ სამუშაოების ერთეულის ღირებულებების უცვლელად.
- 2.5. CPV- 45200000 – სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, ღირებულება: 80 897 647 ,00(ოთხმოცი მილიონ რვაას ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას ექვსას ორმოცდაშვიდი)ლარი
 CPV- 71300000 – საპროექტო სამუშაოები, ღირებულება: 185 000,00 (ას ოთხმოცდახუთი ათასი) ევრო.

3. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

- 3.1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს: 80 897 647,00 (ოთხმოცი მილიონ რვაას ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას ექვსას ორმოცდაშვიდი) ლარს და 185 000,00 (ას ოთხმოცდახუთი ათასი) ევროს. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება მოცემულია დღგ-ს ჩათვლით.
- 3.2. შესასრულებელი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ერთეულის ღირებულებები და მათი მოცულობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1-ში.
- 3.3. შესასრულებელი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების საბოლოო ღირებულება გამოითვლება ფაქტიურად შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მიხედვით, რაც განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო

სამუშაოების მოცულობის გამრავლებით დანართი #1-ით განსაზღვრულ სამუშაოების შესაბამის ერთეულის ღირებულებებზე.

- 3.4. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, დაკავშირებულს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამშენებლო სამუშაოების შესრულებასთან, გარდა მოცემული ხელშეკრულებით გასაზღვრული სამუშაოების საწარმოებლად და ჩასაბარებლად საჭირო სანებართვო ან/და უფლების მიმნიჭებელი ნებისმიერი დოკუმენტაციის მოპოვების ან/და ცვლილების ხარჯებისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფორმა N2-ების სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან/და სხვა აკრედიტირებული საექსპერტო დაწესებულების მიერ ჩასატარებელი ექსპერტიზის (მუხლი 5.2.) ხარჯებისა, რომლის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება შემსყიდველს.
- 3.5. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1-ით (ხარჯთაღრიცხვა) გათვალისწინებული ერთეულის ღირებულებები ფიქსირებულია, ხოლო წინამდებარე ხელშეკრულების 3.1. მუხლით გათვალისწინებული მთლიანი ღირებულება, გარდა ხელშეკრულების 3.3. პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა, ექვემდებარება კორექტირებას შემდეგ შემთხვევებში:
- ა) თუ შემსყიდველი დაავალებს მიმწოდებელს დამატებითი მოცულობის სამუშაოების შესრულებას, რომელიც არ არის გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვით (დანართი #1);
 - ბ) მიმწოდებლის მიერ, დანართ #3-ით წარმოდგენილი პროექტის „დიდველის“ ნაწილის, საპროექტო დავალების (დანართი #4) შესაბამისად კორექტირების საფუძველზე, შეიცვლება ხარჯთაღრიცხვით (დანართი #1) გათვალისწინებული შესასრულებელი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მოცულობები (შემცირდება ან გაიზრდება ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული რომელიმე სამუშაოს მოცულობები);
- 3.6 მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში), ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით. ამასთან, საპროექტო სამუშაოების ღირებულების მიმწოდებლისთვის გადახდა განხორციელდება ასევე ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ლარის ევროში კონვერტაციის ოფიციალური კურსის შესაბამისად.
- 3.7 შემსყიდველის მიერ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მთლიანი ღირებულების 20 %-ის გადარიცხვა განხორციელდება ავანსის სახით წინამდებარე ხელშეკრულების დადების დღიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი, შემსყიდველისთვის ავტორიტეტული საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტიის საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს მოცემული ხელშეკრულებით განსაზღვრულ სამუშაოების შესრულების ვადას. რადგან მიმწოდებელი თეთრ სიაშია რეგისტრირებული, იგი წარმოადგენს წინასწარი (საავანსო) ანგარიშსწორების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიას, საავანსო თანხის 50%-ის ოდენობით.
- 3.8 შემსყიდველი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ანგარიშსწორებას მიმწოდებელთან ახორციელებს ეტაპობრივად, წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი სამუშაოს (ეტაპის) შესრულების აქტებისა (სამუშაოების შესრულების აქტს

წარმოადგენს ფორმა #2 და გადახდის სერთიფიკატი) და ამავე პუნქტის შესაბამისად გაცემული საექსპერტო დასკვნების წარმოდგენის საფუძველზე, აღნიშნულ დოკუმენტებით განსაზღვრული თანხის ოდენობით, ორ ეტაპად შემდეგი წესით:

ა) ყოველი კონკრეტული პერიოდის შესრულებული სამუშაოების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში ანაზღაურება განხორციელდება შესრულებული სამუშაოების აქტით განსაზღვრული თანხის 80%-ის ოდენობით;

ბ) ხოლო დარჩენილი თანხის ანაზღაურება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ექსპერტიზის დასკვნის და მის საფუძველზე კორექტირებული (ასეთი კორექტირების აუცილებლობის შემთხვევაში) სამუშაოების მიღების აქტის შემსყიდველისთვის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

3.9 შემსყიდველი მიმწოდებლის მიერ 5.2. პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი შუალედური ფორმა N2-ებიდან უზრუნველყოფს 5%-ის დაკავებას. აღნიშნული დაკავებული თანხის ჩარიცხვა განხორციელდება შემდეგნაირად: დაკავებული თანხის 50% ჩაირიცხება მხარეებს შორის საბოლოო ფორმა #2-ის (საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის) გაფორმების საფუძველზე, ხოლო დარჩენილი 50%-ის ანაზღაურება განხორციელდება საბოლოო ფორმა #2-ის გაფორმებიდან 1 (ერთი) კალენდარული წლის გასვლიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. ამასთანავე, მხარეები თანხმდებიან, რომ აღნიშნული დარჩენილი დაკავებული თანხის ანგარიშსწორება შესაძლოა განხორციელდეს ნებისმიერ დროს, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარდგენილი, ავტორიტეტული საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო გარანტიის საფუძველზე. თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი უფლებამოსილია წარმოადგინოს წინამდებარე საბანკო გარანტია, ღირებულების 50%-ის ოდენობით.

3.10 სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში, ავანსის პროპორციული დაქვითვა მოხდება ეტაპობრივად, თითოეული სამუშაოს წარმოდგენის შემდეგ. ამასთან, ბოლო შესრულებული სამუშაოს აქტის (ფორმა 2) წარმოდგენის შემდეგ მიმწოდებელს დაეკვიტება ავანსის თანხის დარჩენილი ნაწილი სრულად.

3.11 მოცემული ხელშეკრულების შესაბამისად განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების საგარანტიო ვადა შეადგენს მხარეებს შორის საბოლოო ფორმა #2-ის (საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის) გაფორმებიდან 3 (სამ) წელს, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის დასაბუთებული წერილობითი მომართვის საფუძველზე, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს სწორი ექსპლუატაციის პირობებში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა და ხარვეზის გამო მიყენებული ზიანის (მათ შორის ხარვეზის სედეგად რეზერვუარის შესავსები წყლის ხარჯი) ანაზღაურება. ორაზროვნების გამოსარიცხად მიმწოდებელი, ქვემოთ მითითებული გამონაკლისის გათვალისწინებით, პასუხისმგებელია მხოლოდ სამშენებლო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციასთან შესაბამისად შესრულებაზე და მას არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა საპროექტო დოკუმენტაციის რაიმე ნაკლის/ხარვეზის გამო. მიწოდებლის პასუხისმგებლობა მის მიერ ამ ხელშეკრულების შესაბამისად, დიდველის რეზერვუარის ნაწილში შეცვლილი საპროექტო დოკუმენტის ხარვეზზე/ნაკლზე შემოიფარგლება მხოლოდ დიდველის რეზერვუარის კედლის რკინაბეტონის კონსტრუქციის საპროექტო გადაწყვეტილებაზე.

- 3.12 მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების 3.11 პუნქტით განსაზღვრული საგარანტიო ვადის განმავლობაში ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში მიმწოდებელმა შესაბამისი რეაგირება უნდა მოახდინოს შემსყიდველის მიერ მისთვის შეტყობინების გაგზავნიდან 10 კალენდარულ დღეში, ხოლო ხარვეზის აღმოსაფხვრელად აღნიშნული ხარვეზის სპეციფიკიდან გამომდინარე და შემსყიდველის საქმიანობის თავისებურების გათვალისწინებით, საჭირო გონივრული ვადა განისაზღვრება შემსყიდველთან შეთანხმებით.
- 3.13. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში ასახული გაუთვალისწინებელი სამუშაოების ხარჯების ანაზღაურება განხორციელდება მხოლოდ ასეთი ხარჯების არსებობის შემთხვევაში, გაუთვალისწინებელი ხარჯების არსებობისას მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ასეთი ხარჯების დეტალური გაშიფვრა და დასაბუთება, რომლის საფუძველზეც მიზანშეწონილად მიჩნევის შემთხვევაში შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ განხორციელდება შესასრულებელი სამუშაოების განხორციელების დადასტურება. გაუთვალისწინებელი სამუშაოების უფლება მიმწოდებელს ეძლევა მხოლოდ შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირის თანხმობის შემთხვევაში.
- 3.14. საპროექტო სამუშაოების (პროექტის კორექტირება) ანგარიშსწორება განხორციელდება საპროექტო მომსახურების გაწევის შემდგომ მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველი ავანსის სახით გადაუხდის მიმწოდებელს საპროექტო სამუშაოების მთლიანი ღირებულების არაუმეტეს 20%, ხელშეკრულების 3.7 პუნქტით განსაზღვრული პირობების შესაბამისი საავანსო საბანკო გარანტიის საფუძველზე, რომელიც გაცემული უნდა იყოს მოთხოვნილი ავანსის შესაბამის თანხაზე და მისი მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს საპროექტო მომსახურების შესრულების ვადას. წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში, ავანსად გაცემული თანხა დაიქვითება საპროექტო მომსახურების მიწოდების შესახებ მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისას.

4. სამუშაოს შესაბამისობა და ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 4.1. ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული სამშენებლო-სამონტაჟო და საპროექტო სამუშაოები უნდა შესრულდეს მსგავსი სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტების შესაბამისად.
- 4.2. შემსყიდველს უფლება აქვს, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ნებისმიერ დროს, მოითხოვოს მიმწოდებლისაგან სამუშაოების შესრულების შესახებ ინფორმაცია.
- 4.3. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:
- 4.3.1. სამუშაოს მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.
- 4.3.2. შესრულებული სამუშაოს ხარისხისა და მოცულობის ხელშეკრულების დანართებთან (ხარჯთაღრიცხვა, კალენდარული გრაფიკი, ტექნიკური პირობები, ნახაზები და სპეციფიკაციები და ა. შ) შესაბამისობის დადგენა, შესაბამისი ინსპექტირების დასკვნის შედგენა (აუცილებლობის შემთხვევაში).
- 4.3.3. ფარული სამუშაოების კონტროლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მიწოდებული სამუშაოების წინამდებარე ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვასთან (დანართი N1)

ურთიერთშედარება და მათ საფუძველზე მიმწოდებლის მიერ შესრულებულ სამუშაოების ან მისი ნაწილის მოცულობის, ფორმა 2-ების დამოწმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

- 4.3.4. ტექნიკური დავალების დანართებით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.
- 4.3.5. მიმწოდებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და პროფესიული კომპეტენციის შესაბამისობის დადგენა განსახორციელებელ სამუშაოებთან მიმართებაში.
- 4.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შპს „ემ თი ეის“ ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი დავით ჯაოშვილი.

5. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი.

- 5.1. შესრულებული სამშენებლო სამუშაოს მიღება-ჩაბარება ხორციელდება ამ ხელშეკრულების 7.1. პუნქტში აღნიშნულ ადგილზე.
- 5.2. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოს მიღება იწარმოებს ეტაპობრივად, შემდეგი წესით: მიმწოდებელი ყოველი საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში წარუდგენს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოების (ეტაპის) აქტს (ფორმა #2) და გადახდის სერტიფიკატს, რომელშიც აისახება საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაოს მოცულობა და ღირებულება, ხოლო შემსყიდველი, 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში ამოწმებს აქტით განსაზღვრულ სამუშაოების მოცულობას და ხარისხს და უბრუნებს მიმწოდებელს დადასტურებულ აქტს, ან/და იგივე ვადაში წერილობით ატყობინებს მიმწოდებელს წარმოდგენილი აქტის დამოწმებაზე მოტივირებულ და დასაბუთებული უარს. შემსყიდველის მიერ აქტით განსაზღვრული სამუშაოების მოცულობების დადასტურების შემდგომ, შემსყიდველი ან შემსყიდველის ნაცვლად მიმწოდებელი აღნიშნულ აქტს წარადგენს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ან/და სხვა აკრედიტირებულ საექსპერტო დაწესებულებაში აქტით განსაზღვრული შესრულებული სამუშაოს მოცულობის ფაქტობრივად განხორციელებული სამუშაოების მოცულობის შესაბამისობის დადგენის მიზნით (შემდგომში „ექსპერტიზა“). ექსპერტიზის დასკვნის მომზადების ღირებულების ანაზღაურება ეკისრება შემსყიდველს. აღნიშნული „ექსპერტიზის“ საფუძველზე და მისი შედეგების გათვალისწინებით, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარდგენილი შესრულებული სამუშაოების (ეტაპის) აქტის მოცულობა და მოცულობის შესაბამისად ღირებულება შესაძლოა დაკორექტირდეს. შემსყიდველის მიერ დადასტურებული შესრულებული სამუშაოების (ეტაპის) აქტის (ფორმა #2) მოცულობები და ექსპერტიზის დასკვნა (ექსპერტიზის მიერ დაკორექტირებული (ასეთის შემთხვევაში) შესრულებული სამუშაოს (ეტაპის) აქტთან (ფორმა #2) ერთად) ერთობლივად წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის შესრულებული სამუშაოების ეტაპის მიწოდების/ჩაბარების ფაქტის დამადასტურებელ დოკუმენტაციას.
- 5.3. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის საანგარიშო პერიოდი არის - კალენდარული თვის პირველი რიცხვიდან თვის ბოლო რიცხვამდე პერიოდი ან, თუ ხელშეკრულების გაფორმება დაემთხვა კალენდარული თვის პირველი რიცხვის გარდა ნებისმიერ სხვა რიცხვს,

მაშინ პირველი საანგარიშო პერიოდი იქნება ხელშეკრულების გაფორმების მომენტიდან თვის ბოლო რიცხვამდე პერიოდი.

- 5.4. მხარეები შეიძლება დამატებით შეთანხმდნენ მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების (ეტაპის) აქტების (ფორმა #2) შემსყიდველისთვის წარდგენის განსხვავებულ პერიოდულობაზე და ასეთი შეთანხმების შემთხვევაში აღნიშნული აისახება შესაბამისი შესრულებული სამუშაოების (ეტაპის) აქტის (ფორმა #2) თარიღის ველში.
- 5.5. თუ შემსყიდველი წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. პუნქტში მითითებულ შესრულებული სამუშაოების (ეტაპის) აქტს (ფორმა #2), მისთვის აღნიშნული აქტის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში არ მოაწერს ხელს ან არ შეატყობინებს მიმწოდებელს აქტის დამოწმებაზე მოტივირებულ და დასაბუთებულ უარს, მაშინ ითვლება, რომ შემსყიდველს არ გააჩნია შენიშვნები აქტით განსაზღვრულ სამუშაოსთან დაკავშირებით და სამუშაოების შესრულების აქტს (ფორმა #2) მოცემული ხელშეკრულების შესაბამისად, შემსყიდველის ხარჯით მიმწოდებელი წარადგენს ექსპერტიზაზე.
- 5.6. თუ შემსყიდველს გააჩნია დასაბუთებული პრეტენზია მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს მიმართ და ამ მიზეზით შემსყიდველი არ მიიღებს შესრულებულ სამუშაოს (ეტაპს), ხოლო მიმწოდებელი ეთანხმება წარმოდგენილ პრეტენზიას, მიმწოდებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში აღმოფხვრას ის საფუძვლები, რასაც ემყარება პრეტენზია და ხელმეორედ გაუგზავნოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოების აქტი (ფორმა #2) წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით.
- 5.7. თუ მხარეები ვერ თანხმდებიან მიმწოდებლის მიერ საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაოების ხარისხზე, ისინი ვალდებულნი არიან იხელმძღვანელონ კომპეტენტური საექსპერტო დაწესებულების მიერ აღნიშნულ საკითხზე გაცემული დასკვნით. საექსპერტო დაწესებულებას მხარეები შეარჩევენ 1 კვირის განმავლობაში. ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრება გამტყუნებულ მხარეს.
- 5.8. შესრულებული სამუშაოების (შესყიდვის ობიექტი) შუალედური და საბოლოო მიღება-ჩაბარება ხორციელდება შემსყიდველის და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.
- 5.9. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება შპს „ემ თი ეის“ ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსს დავით ჯაოშვილს.
- 5.10. მხარეები თანხმდებიან, რომ მოცემული ხელშეკრულების მიზნებისთვის მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარდგენილ საბოლოო შესრულებულ სამუშაოების აქტი (ფორმა #2) წარმოადგენს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტს და დამატებითი დოკუმენტის გაფორმება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სავალდებულო აღარ არის. ყოველგვარი ორაზროვნების აღმოსაფხვრელად, საბოლოო ფორმა N2-ის დადასტურების შესაბამისად, დაიწყება ხელშეკრულების 3.11. პუნქტით განსაზღვრული საგარანტიო ვადის ათვლა და შემსყიდველს წარმოეშვება 3.9. პუნქტით განსაზღვრული დაკავებული თანხის მიმწოდებლის სასარგებლოდ ანაზღაურების ვალდებულება.
- 5.11. ყოველგვარი ორაზროვნების გამოსარიცხად, წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. პუნქტის შესაბამისად მხოლოდ შემსყიდველის მიერ დადასტურებული შესრულებული სამუშაოების (ეტაპის) მიღების აქტები (ფორმა #2) არ წარმოადგენს სამუშაოს მიღების დამადასტურებელ დოკუმენტს და სამუშაოების (ეტაპის) მიღების აქტში (ფორმა #2) მითითებული სამუშაოები შემსრულებლის მიერ მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველის

მიერ დადასტურებულ (ფორმა #2)-თან ერთად იარსებებს ხელშეკრულების 5.2. პუნქტით განსაზღვრული შესაბამისი (ფორმა #2)-ის საექსპერტო დასკვნა.

- 5.12. შესრულებული სამუშაოების (შესყიდვის ობიექტი) მიღება-ჩაბარება ხორციელდება შემსყიდველის და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.
- 5.13. საბოლოო ფორმა #2-ის(მიღება-ჩაბარების აქტის) გაფორმებამდე ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა 2) წარდგენის შემდგომ აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საკუთარი ხარჯებით.
- 5.14. საპროექტო მომსახურების მიღება განხორციელდება შემდეგი წესით: მიწოდებელი საპროექტო სამუშაოების დასრულების შემდეგ წარუდგენს შემსყიდველს კორექტორებულ პროექტს, ხოლო შემსყიდველი პროექტის მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში ვალდებული იქნება მიიღოს წარმოდგენილი პროექტი და გააფორმოს მიმწოდებელთან შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი, ან იმავე ვადაში შეატყობინოს მიმწოდებელს კორექტირებული პროექტის მიღებაზე დასაბუთებული უარი. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ხელშეკრულების წინამდებარე პუნქტით განსაზღვრულ ვადაში არც მიიღებს კორექტირებულ პროექტს და არც გაუგზავნის მიმწოდებელს პროექტის მიღებაზე დასაბუთებულ უარს, მაშინ მოიაზრება, რომ შემსყიდველმა მიიღო კორექტირებული პროექტი.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

- 6.1.1. ვადებში განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები, ხარისხიანად და დროულად, დანართი #3 და დანართი #4 შესაბამისად კორექტირებული პროექტის და დანართი #1-ის (მათ შორის კორექტირებული პროექტის შესაბამისად განახლებული დანართი #1-ის) მიხედვით.
- 6.1.2. ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) კალენდარული თვის ვადაში წარუდგინოს შემსყიდველს სამუშაოების წარმოების გრაფიკი, რომელიც, მისი წარმოდგენის შემდეგ დანართი #2-ის სახით დაერთვება ხელშეკრულებას მისი განუყოფელი ნაწილის სახით. მიმწოდებელი ასევე ვალდებულია საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილების გათვალისწინებით უზრუნველყოს სამუშაოების წარმოების გრაფიკის განახლება ისე, რომ დაცული იყოს ხელშეკრულების 7.2. პუნქტით განსაზღვრული პირობა.
- 6.1.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები დაიწყოს და დაამთავროს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნათა დაცვით.
- 6.1.4. იყოს პასუხისმგებელი, ხელშეკრულების შესასრულებლად საჭირო ყველა აუცილებელი მასალის, დეტალების და მოწყობილობების მაღალ ხარისხზე, მათ მიღებაზე, შენახვასა და გამოყენებაზე.
- 6.1.5. შეასრულოს სამშენებლო სამუშაოები მშენებლობის უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა სრული დაცვით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების გათვალისწინებით და აიღოს სრული პასუხისმგებლობა სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას სამშენებლო მოედანზე უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა დარღვევით გამოწვეული ყველა შედეგისადმი.
- 6.1.6. ობიექტზე სამუშაოს შესრულების დროს დაიცვას ტექნიკური, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების და ეკოლოგიის დაცვის წესები.

- 6.1.7. სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში უზრუნველყოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით გამოცემული ზოგადი რეკომენდაციების დაცვა, აღნიშნული რეკომენდაციების მოქმედების პერიოდში.
- 6.1.8. გამოასწოროს ყველა დეფექტი, რომელიც შეიძლება მისი ბრალეული ქმედების შედეგად გამოვლინდეს ან განვითარდეს სამუშაოებში, სამუშაოების წარმოების დაწყების ან შემოწმების დროს თავისი ხარჯებით.
- 6.1.9. ამ ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ავანსის თანხა გამოიყენოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარების მიზნით. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს წინასწარი ანგარიშსწორებით გადახდილი თანხის დაუყოვნებლივ დაბრუნება.
- 6.1.10. სამშენებლო სამუშაოებისთვის გამოიყენოს მაღალი ხარისხის მასალა-მოწყობილობები და უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ ნორმებს, რაზეც შემსყიდველს უფლება აქვს, სურვილისამებრ მოითხოვოს საერთაშორისო სტანდარტის დამადასტურებელი სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 6.1.11. შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ.
- 6.1.12. დანართი #4 შესაბამისად, პროექტის კორექტირება დაავალოს Studio associate proalpe di ingg.Farina Giordano e Veronesi Ivan-ს.

6.2. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

- 6.2.1. მოითხოვოს ჩატარებული სამუშაოების ანაზღაურება დროულად, ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.
- 6.2.2. დროულად მიიღოს ინფორმაცია და ასევე სხვა საჭირო დოკუმენტები, რაც აუცილებელია წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესასრულებლად.
- 6.2.3. თავისი შეხედულებისამებრ, მოცემული ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების განხორციელება დაავალოს ქვეკონტრაქტორს, რის თაობაზეც ვალდებულია აცნობოს შემსყიდველს. მიმწოდებელი სრულად იქნება პასუხისმგებელი შემსყიდველის წინაშე ქვეკონტრაქტორის მიერ განხორციელებულ სამუშაოებზე;
- 6.2.4. მოსთხოვოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება;
- 6.2.5. თუ შემსყიდველი 20 (ოცი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადააცილებს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ რომელიმე ფინანსირების ვადლებულების შესრულებას, მიმწოდებელს უფლება ეძლევა შემსყიდველთან შეუთანხმებლად შეაჩეროს ობიექტზე მიმდინარე სამუშაოების წარმოება არსებული დავალიანების დაფარვამდე ან გააგრძელოს სამუშაოების წარმოება საკუთარი შეხედულებისამებრ.

6.3. შემსყიდველი ვალდებულია:

- 6.3.1. ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში უზრუნველყოს სამშენებლო მოედნის (ტერიტორიის) სათანადო გამოყოფა-გამონთავისუფლება და მიმწოდებლისთვის გადაცემა.
- 6.3.2. შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად.
- 6.3.3. განუსაზღვროს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად ნაწარმოები მიწის სამუშაოების საფუძველზე ამოღებული გრუნტის განთავსების ადგილი და ასევე, მიუთითოს ამ უკანასკნელს თუ საიდან უნდა განხორციელდეს სამშენებლო ობიექტზე ყრილის მოსაწყობად ვარგისი გრუნტის მოპოვება. აღნიშნულთან დაკავშირებით, შემსყიდველის ვალდებულებას წარმოადგენს მოიპოვოს ყველა შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაცია.
- 6.3.4. უზრუნველყოს ყველა და ნებისმიერი შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის მოპოვება, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სავალდებულოა წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების მიზნებისთვის, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების შესაბამისად კორექტირებული საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე მოსაპოვებელი ნებართვები და სხვა დოკუმენტები რომლებიც აუცილებელი არის ან შეიძლება იყოს კორექტირებული საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად სამუშაოების შესასრულებლად. სანებართვო დოკუმენტაციაში იგულისხმება ყველა და ნებისმიერი უფლების მიმნიჭებელი დოკუმენტი, გაცემული ნებისმიერი მესამე პირგან, მათ შორის და არა მხოლოდ: სანებართვო დოკუმენტაცია დროებითი გზების მოწყობისათვის, გარემოზე ზემოქმედების (გზმ) ანგარიშის მოპოვებისთვის, სამშენებლო სამუშაოების წარმოებისთვის და ა.შ. ყოველგვარი ორაზროვნების გამოსარიცხად, სრულად შემსყიდველის პასუხისმგებლობას წარმოადგენს მოცემული ხელშეკრულების მიზნებისთვის შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის მოპოვება.

7. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

- 7.1. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები უნდა განხორციელდეს ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა ბაკურიანში.
- 7.2. წინამდებარე ხელშეკრულებით 3.1 პუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები მიმწოდებელმა უნდა დაიწყოს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან, შემსყიდველის მიერ სამშენებლო ობიექტის გადაცემის შესაბამისად და დაასრულოს არაუგვიანეს 2022 წლის 28 ნოემბრამდე. მხარეები თანხმდებიან, რომ აღნიშნული ვადა დაკორექტირდება შემსყიდველის მიერ მოცემული ხელშეკრულების დანართი #4-ის შესაბამისად შეცვლილი საპროექტო დოკუმენტაციის თანახმად იმ პირობით, რომ დიდველისა და კოხტა-მიტარბის სამთო-სათხილამურო კურორტებზე წყლის ხელოვნური რეზერვუარების მშენებლობა დასრულდება 2022 წლის 28 ნოემბერს და შესაძლებელი იქნება აღნიშნული რეზერვუარებიდან ხელოვნური გათოვლიანების სისტემების წყლით უზრუნველყოფა.
- 7.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროექტო სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების ხელისმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში და დაასრულოს არაუგვიანეს 2022 წლის 31 მაისისა.

7.4. სამუშაოების შესრულების ვადა ასევე შესაძლოა დაკორექტირდეს მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი, ობიექტური გარემოებების არსებობის შემთხვევაში, რაშიც მათ შორის მოიაზრება ისეთი კლიმატური პირობების არსებობა, რომელიც ხელს უშლის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად განსაზღვრული სამშენებლო სამუშაოების წარმოებას, რასთან დაკავშირებითაც მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემულ დასკვნას.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

- 8.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ინსპექტირებას, მათ შორის კონტრაქტით გათვალისწინებული ვადების მიმდინარეობის კონტროლს ახორციელებს შპს „ემ თი ეი“-ს უნფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი დავით ჯაომვილი.
- 8.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

9. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

- 9.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებელმა, ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, შემსყიდველს უნდა წარუდგინოს უპირობო და გამოუხმობი გარანტია, რომლის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას მინიმუმ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი) %-ის ოდენობით. გარანტიის გამცემი ორგანიზაცია უნდა იყოს საქართველოში რეგისტრირებული ბანკი ან სადაზღვევო კომპანია. გარანტიაში ბენეფიციარად მითითებულ უნდა იქნას შპს „ემ თი ეი“. რადგან მიმწოდებელი თეთრ სიაშია რეგისტრირებული, იგი წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიას 2.5%-ის ოდენობით.
- 9.2. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო და გამოუხმობი გარანტია ასევე გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების გამო. აღნიშნული გარანტია ასევე გამოიყენებული იქნება მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოების შემსყიდველისათვის ანაზღაურების მიზნით.
- 9.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ, რაც დადასტურებული იქნება შემსყიდველთან გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.
- 9.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების უმიზეზოდ შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს აამოქმედოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია სრული ოდენობით.
- 9.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების გამო, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია აამოქმედოს ხელშეკრულების შესრულების

უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტია სრული ოდენობით.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის/ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

- 10.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულებისათვის ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 10.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების ბრალეული შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.
- 10.3. წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადის დაგვიანების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დარჩენილი შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0,02%-ის ოდენობით მხოლოდ მას შემდეგ, რაც შემსყიდველი დაუწესებს მიმწოდებელს დამატებით გონივრულ ვადას სამუშაოების განსახორციელებლად და მოცემული ვადაც ჩაივლის უშედეგოდ ;
- 10.4. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების პირობების ნებისმიერი ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადამოსული ასანაზღაურებელი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით
- 10.5. იმ შემთხვევაში თუ ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა გადააჭარბებს 20 კალენდარულ დღეს შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს ვადაგადაცილებული დღეების ჯარიმასთან ერთად დამატებით დააკისროს პირგასამტეხლო დარჩენილი შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 10%-ს ოდენობით.
- 10.6. პირგასამტეხლოს დაკისრება და გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

- 11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
- 11.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
- 11.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%-ზე მეტი ოდენობით.

- 11.4. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების სისტემატიურად, ობიექტური გარემოებების გათვალისწინებლად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.
- 11.5. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.
- 11.6. ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება შეთანხმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვს გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.
- 11.7. შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ:
 - 11.7.1. მიმწოდებელი სისტემატიურად არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);
 - 11.7.2. მიმწოდებლის მიმართ მიმდონარეობს გაკოტრების საქმე (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);
 - 11.7.3. მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულებით ჯეროვან შესრულებაზე;
 - 11.7.4. თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის მიერ მოწოდებული დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
- 11.8. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. ფორს-მაჟორი

- 12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით (რაც მათ შორის მოიცავს: სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში). დაუძლეველი ძალით გამოწვეულ მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).
- 12.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყონებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარს ხელშეკრულების გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.
- 12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე. იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოება

გაგრძელდება 2 (ორი) თვეზე მეტი ვადით, მხარეები იღებენ ვალდებულებას მოილაპარაკონ ხელშეკრულების განახლებულ პირობებთან დაკავშირებით. თუ მოლაპარაკება 1 (ერთი) თვის განმავლობაში აღმოჩნდება უშედეგო, მხარეები უფლებამოსილი არიან შეწყვიტონ ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებული ააუნაზღაუროს მიმწოდებელს შეწყვეტის მომენატისათვის გაწეული სამუშაოს ღირებულება.

13. უფლებების გადაცემა

- 13.1. წინამდებარე ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 13.2. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავისი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14. შეტყობინება

- 14.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, მეილის, ტელექსის ან ფაქტის სახით, ორიგინალის შემდგომ წარმოდგენით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
- 14.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დადასტურების დღეს.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

- 15.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმების გზით აღმოფხვრან ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
- 15.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოწესრიგებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

16. გამოყენებული სამართალი

- 16.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. ხელშეკრულების ენა

- 17.1. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ქართულ ენაზე 3 (სამი) ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

18. გადასახადები და დაბეგვრა

- 18.1. ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს საგარანტიო პერიოდის ამოწურვიდან დამატებითი 30 კალენდარული დღის ჩათვლით.

21. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

შპს „ემ თი ეი“

ფაქტ. მის: ქ. თბილისი, მ. კოსტავას №70
ს/კ 215 096 367

ბანკი: სს „თიბისი ბანკი“

ბანკის კოდი: TBCBGE22

ა/ნ GE97 TB73 4663 6020 1000 01

შპს „ემ თი ეი“-ს

დირექტორი:

ირაკლი ჭირაქაძე

მიმწოდებელი:

შპს „ანაგი“

იურ. მის: თბილისი, კოსტავას ქ. #37/39, სართული 3
ს/კ 245 416 401

ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“

ბანკის კოდი: BAGAGE 22

ა/ნ GE 07 BG 0000000 121360100

შპს „ანაგი“-ს

დირექტორი:

ირაკლი გოგოლიშვილი

დანართი #1

**მშენებლობის ღირებულების კრებსითი სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშება
ბაკურიანში ხელოვნური გათოვლიანებისთვის ხელოვნური ტბების მშენებლობა**

რიგითი №	ხარჯთ. №	თავების, ობიექტების, სამუშაოებისა და დანახარჯების დასახელება	საერთო სახარჯთაღ. ღირებულება ლარი
1	ცხრილი #1	დიდველი ტბის მოწყობის სამუშაოები	36 524 932,87
2	ცხრილი #2	მიტარბი ტბის მოწყობის სამუშაოები	13 498 876,78
3	ცხრილი #3	დიდველის კონსტრუქციები	2 349 738,71
4	ცხრილი #4	მიტარბის კონსტრუქციები	2 639 712,95
5	ცხრილი #5	MR500 კონსტრუქციები (დიდველი)	5 049 552,28
6	ცხრილი #6	MR300 კონსტრუქციები (მიტარბი)	2 303 778,39
7	ცხრილი #7	MR500 არქიტექტურა	1 082 225,81
8	ცხრილი #8	MR400 არქიტექტურა	96 503,40
9	ცხრილი #9	MR300 არქიტექტურა	452 141,38
10	ცხრილი #10	MR200 არქიტექტურა	96 161,85
11	ცხრილი #11	MR500 ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები	91 385,72
12	ცხრილი #12	MR400 ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები	4 526,65
13	ცხრილი #13	MR300 ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები	39 689,54
14	ცხრილი #14	MR200 ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები	8 326,88
15	ცხრილი #15	ხანძარქრობის და სახანძრო სისტემის მონტაჟი	145 647,82
	სულ ჯამი		64 383 201,03
		დროებითი შენობა-ნაგებობები 4.5%	2 897 244,05
		ჯამი	67 280 445,08
		გაუთვალისწინებელი ხარჯები - 0,31%	207 067,08
		ჯამი	67 487 512,16
		სამივლინებო და სხვა ხარჯები	1 069 815,00
		ჯამი	68 557 327,16
		დღგ 18%	12 340 318,89
		ჯამი	80 897 646,05
		უკუბრუნე დროებითი შენობა-ნაგებობებიდან	434 586,61

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

ბაკურიანში ხელოვნური გათოვლიანებისთვის ხელოვნური ტბების
მშენებლობა

დიდველი ტბის მოწყობის სამუშაოები ცხრილი №1

№	შესასრულებელი სამუშაოები	განზ.	რაოდ.	ერთ. ღირებულება	ჯამი
1	2	3	4	5	6
	1-მოსამზადებელი საქმიანობა				
1	მობილიზაცია-დემობილიზაცია	ფიქსირებული ფასი	1,00	184 514,09	184 514,09
2	კვლევები და სამუშაო ნახაზები	ფიქსირებული ფასი	1,00	89 041,27	89 041,27
3	გეოტექნიკური დამატებითი კვლევები	ფიქსირებული ფასი	1,00	106 849,52	106 849,52
4	სამშენებლო ნახაზები	ფიქსირებული ფასი	1,00	44 520,64	44 520,64
	1 თავის ჯამი				424 925,52
	2- ზოგადი მიწის სამუშაოები				
1	დროებითი გზების მოწყობა	კმ	7,00	75 998,07	531 986,51
2	ტერიტორიის გასუფთავება ბუჩქნარისაგან და ხეებისაგან, დატვირთვა, ტრანსპორტირება და ნაყარში განთავსება და დაწვა, ორჯერ	მ2	67808,00	0,58	39 265,20
3	ტერიტორიაზე ნაყოფიერი მიწის მოხსნა, დატვირთვა, ტრანსპორტირება და ნაყარში განთავსება	მ2	67808,00	1,93	130 639,90
4	ტბის ნაწილში არაკლდოვანი გრუნტის დამუშავება ქვაბულში, თოვლის დნობისას მიღებული და წვიმის წყლების მოცილება, დატვირთვა, ტრანსპორტირება და ნაყარში განთავსება	მ3	332200,00	11,47	3 811 108,67
5	კლდოვანი გრუნტის ექსკავაცია, დამუშავება, დატვირთვა და ტრანსპორტირება საპროექტო ტერიტორიაზე	მ3	300000,00	42,31	12 694 036,08
6	დამბის ქვეშ ტერასების ზედაპირის მოსწორება ბულდოზერით საპროექტო ნიშნულზე	მ2	31500,00	0,02	500,38
7	ქვაბულის არსებული ზედაპირის, 25 სმ სისქის გრუნტის, დატკეპნა 25-ტონიანი საგზაო მისაბმელი პნევმოთვლიანი სატკეპნით 5 ჯერადი გავლით	მ3	7875,00	1,61	12 643,30
8	ლაბორატორიული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით კირის და გრუნტის ნაზავის მომზადება და მომზადებული ნარევით 40 სმ სისქის ფენის მოწყობა და დატკეპნა (მოცულობა და თანხა სავარაუდო)	მ2	20278,00	16,20	328 445,82
9	დამბის ტანის აღმართვა შემოზიდული კლდოვანი გრუნტის ფენებზე გაშლით და დატკეპნით	მ3	267295,00	6,42	1 717 052,81
10	ტერასებზე, სადენაჟე ფენის ქვეშ, ფენილის მოწყობა პოლიპროპილენის, მაღალი სიმტკიცის, ნაქსოვი გეოტექსტილით, (წელვადობა: 80/80kN/m), საუკეთესო გამტარიანობით	მ2	29452,80	28,70	845 250,50
11	დამბის ქვეშ, ტერასებზე, 80 სმ სისქის სადენაჟე ფენის მოწყობა ნამტკრევი ქვით 20/100 მმ ფრაქციის	მ3	17640,00	16,54	291 711,76

1	2	3	4	5	6
12	დამბის ქვეშ, ტერასებზე, 80 სმ სისქის სადრენაჟე ფენის მოწყობა, ნამტვრევი ქვით 20/100 მმ ფრაქციის, ხელით	83	7560,00	38,73	292 801,19
13	ტერასებზე, სადენაჟე ფენის ზემოდან, ფენილის მოწყობა პოლიპროპილენის, მაღალი სიმტკიცის, ნაქსოვი გეოტექსტილით, (წელვადობა: 80/80kN/m), საუკეთესო გამტარიანობით	82	29452,80	28,70	845 250,50
14	დასაწყობებული გრუნტის დატვირთვა, ტრანსპორტირება და გაშლა ფერდობებზე	83	20342,40	12,95	263 515,45
15	ნიდაგის მომზადება და ბალახის თესვა	82	41808,00	8,11	339 113,51
16	დასაწყობებული გრუნტის დატვირთვა, ტრანსპორტირება, გაშლა და ფენებად ტკეპნა	83	220000,00	9,74	2 143 211,05
	მე-2 თავის ჯამი				24 286 532,63
	2ა - ტექნიკური გზის მოწყობა სატუმბ სადგურთან MR500				
1	ტერასებზე, სადენაჟე ფენის ქვეშ, ფენილის მოწყობა პოლიპროპილენის, მაღალი სიმტკიცის, ნაქსოვი გეოტექსტილით, (წელვადობა: 80/80kN/m), საუკეთესო გამტარიანობით	82	3411,71	28,70	97 910,88
2	გზის საფუძვლის მოწყობა ქვიშა-ღორღის ნარევით (პირველი ფენა სისქით = 12 სმ)	82	3411,71	9,95	33 950,19
3	გზის საფუძვლის მოწყობა ქვიშა-ღორღის ნარევით (მეორე ფენა სისქით = 8 სმ)	82	3411,71	7,14	24 345,21
	2ა თავის ჯამი				156 206,28
	3-ტბის წყალმედვეი სისტემა (გეო-მემბრანით)				
1	თხრილის დამუშავება (II კატეგორიის გრუნტი), ტბის ფერდებზე, ექსკავატორით ადგილზე დაყრით, თხრილის ფერდებისა და ძირის მოსწორება ხელი, ტბის საიზოლაციო ფენების თავების ჩასამაგრებლად (ზომები: სიღრმე=1,00; სიგანე=1,30 მ.)	83	793,00	6,94	5 501,70
3	საიზოლაციო ფენების დამკერი თხრილის შევსება გრუნტით, საიზოლაციო ფენების მოწყობის შემდეგ	83	793,00	4,75	3 767,82
4	ქვაბულის არსებული ზედაძირის, 25 სმ სისქის გრუნტის, დატკეპნა 25-ტონიანი საგზაო მისაბმელი პნევმოთვლიანი სატკეპნით 5 ჯერადი გავლით	83	7986,18	1,61	12 821,79
5	ფენილის მოწყობა, მაღალი სიმტკიცის, პოლიპროპილენის ნაქსოვი გეოტექსტილით, (წელვადობა: 80/80kN/m), საუკეთესო გამტარიანობით	82	20800,00	28,70	596 928,32
6	20 სმ სისქის სადრენაჟე ფენილის მოწყობა ღორღით, ფრაქცია 0/30 მმ	82	22771,23	15,08	343 358,95
7	20 სმ სისქის სადრენაჟე ფენილის მოწყობა ღორღით, ფრაქცია 30/70 მმ	82	8586,44	14,79	126 987,37
8	20 სმ სისქის ღორღის 0/30მმ და 30/70მმ ფრაქციის ფენილის, დატკეპნა 25-ტონიანი საგზაო მისაბმელი პნევმოთვლიანი სატკეპნით 5 ჯერადი გავლით	83	6271,53	1,61	10 068,93
9	უქსოვი გიტექსილის, სიმკვრივე 1000 გ/კვ.მ, ფენილის მოწყობა (ქვედა ფენა)	82	8586,44	27,84	239 082,30
10	სადრენაჟე გეოკომპოზიტის ფენილის მოწყობა	82	31944,70	41,14	1 314 090,41
11	უქსოვი გიტექსილის, სიმკვრივე 1200 გ/კვ.მ, ფენილის მოწყობა (ქვედა ფენა)	82	31944,70	31,49	1 006 035,43
12	პოლიოლეფინის წყალგამტარი მემბრანის მოწყობა	82	31582,70	123,15	3 889 535,34

1	2	3	4	5	6
13	უქსოვი გეტექსილის, სიმკვრივე 1200 გ/კვ.მ, ფენილის მოწყობა (ზედა ფენა)	მ2	23192,70	31,49	730 408,42
14	უქსოვი გეტექსილის, სიმკვრივე 1000 გ/კვ.მ, ფენილის მოწყობა (ზედა ფენა)	მ2	24301,00	27,84	676 641,50
15	მოქნილი გეოგრიდის, ტიპი "Fortrac 3D120", ფენილის მოწყობა	მ2	24051,20	33,67	809 708,10
16	20 სმ სისქის ფენილის მოწყობა ღორღით, ფრაქცია 30/150 მმ	მ2	22254,29	13,72	305 326,64
17	შემაკავებელი, სადრენაჟე პერფორირებული მილის HDPE DN 315 მონტაჟი	კმ	0,36	182 177,42	65 948,23
18	HDPE DN 315 მილის პერფორირება	ნახვრ	16112,00	0,31	5 041,81
19	შემაკავებელ სადრენაჟე მილთან ღორღის 30/150 მმ ფრაქციის წყობა ხელით	მ3	144,80	80,90	11 714,45
20	ნაყოფიერი გრუნტის შეტანა და მოსწორება ხელით (20 სმ სისქის) და გამწვანების მოწყობა დათესვით ხელით	მ2	2444,00	20,95	51 198,13
	მე-3 თავის ჯამი				10 204 165,63
	4-ტბის წყლით მომარაგება				
1	გრუნტის დამუშავება ექსკავატორით თხრილში, გრუნტის ადგილზე დაყრით მილის მოსაწყობად, გრუნტის დამუშავება თხრილში ხელით, თხრილის ძირის და გვერდების მოსწორებით	მ3	906,00	5,52	5 000,35
4	წყალსადენის მილის HDPE DN 315 PN16 მონტაჟი	კმ	0,43	218 675,35	94 030,40
5	წყალის გადამღვრელი მილის HDPE DN 800 PN16 მონტაჟი	კმ	0,03	284 514,30	7 112,86
6	წყალსადენის მილის HDPE DN 100 PN16 მონტაჟი	კმ	0,03	29 282,55	732,06
7	ქვიშით დამცავი ფენების მოწყობა ხელით პოლიეთილენის მილებზე, ძირზე 10 სმ და ზემოდან 20 სმ	მ3	250,76	11,55	2 897,04
8	არსებული გრუნტის უკუჩაყრა თხრილში ბულდოზერით 20 მ-ზე გადაადგილებით და ზედმეტი გრუნტის ადგილზე მოსწორებით	მ3	906,00	0,68	612,52
	მე-4 თავის ჯამი				110 385,23
	5-წყლის შემკრები				
1	IV ჯგუფ. გრუნტის დამუშავება ექსკავატორით თხრილში, ადგილზე დაყრით საქაჩი სადგურიდან MR400 წყალშემკრებამდე, DN280 მილის მოსაწყობად (სიღრმე: 150 სმ, განი (84+150)/2 სმ)	მ3	131,63	3,38	444,41
2	IV ჯგუფ. გრუნტის დამუშავება თხრილში ხელით, თხრილის ძირის და გვერდების მოსწორებით	მ3	13,16	38,00	500,20
3	კლდოვანი გრუნტის დამუშავება სანგრევი ჩაქურებით თხრილში, ადგილზე დაყრით წყალშემკრებიდან ქვიშის ფილტრიან ნაგებობამდე, DN355 მილის მოსაწყობად (სიღრმე: 150 სმ, განი (107+250)/2 სმ)	მ3	26,78	223,67	5 988,80
4	კლდოვანი გრუნტის დამუშავება სანგრევი ჩაქურებით თხრილში, ადგილზე დაყრით ქვიშის ფილტრიანი ნაგებობიდან მდინარემდე, DN400 მილის მოსაწყობად (სიღრმე: 150 სმ, განი (120+260)/2 სმ)	მ3	29,93	223,67	6 693,36

1	2	3	4	5	6
5	IV ჯგუფ. გრუნტის დამუშავება ექსკავატორით ადგილზე დაყრით, დროებით წყალამრიდი მილის DN630 მოსაწყობად	მ3	110,03	3,38	371,48
6	წყალსადენის მილის HDPE DN 630 PN10 მონტაჟი	კმ	0,03	636 268,88	19 088,07
7	წყლუმკრები ნაგებობის მოწყობის შემდეგ, წყალსადენის მილის HDPE DN 630 დემონტაჟი	კმ	0,03	6 561,35	196,84
8	წყლუმკრები ნაგებობის მოწყობის შემდეგ, დროებითი არხის შევსება არსებული გრუნტის უკუჩაყრით ბულდოზერით 20 მ-ზე გადადგილებით	მ3	110,03	0,68	74,38
9	წყალსადენის მილის HDPE DN 280 PN16 მონტაჟი	კმ	0,08	171 050,48	12 828,79
10	წყალსადენის მილის HDPE DN 355 PN10 მონტაჟი	კმ	0,01	193 132,11	1 931,32
11	წყალსადენის მილის HDPE DN 400 PN10 მონტაჟი	კმ	0,01	243 190,51	2 553,50
12	მილების ზემოდან 20 სმ და ქვემოდან 10 სმ ქვიშის დამცავი ფენილის მოწყობა, მოსწორება და დატკეპნა	მ3	45,44	88,47	4 020,43
13	გრუნტის უკუჩაყრა თხრილში ბულდოზერით 20 მ-ზე გადადგილებით და ზედმეტი გრუნტის ადგილზე მოსწორებით (მილების მონტაჟის შემდეგ)	მ3	298,35	0,68	201,71
	მე-5 თავის ჯამი				54 893,28
	6.1-დრენაჟი (ტბის ძირზე)				
1	IV ჯგუფ. გრუნტის დამუშავება ექსკავატორით ავთოთვითმცლელზე დატვირთვით, ხელით თხრილის ძირის და გვერდების მოსწორებით, სადრენაჟე სისტემის მოსაწყობად, დატვირთვა, ტრანსპორტირება და ნაყარში განთავსება	მ3	975,36	12,53	12 220,90
